საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/124

ქ. ბათუმი 01 ნოემბერი, 2019 წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ორი ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №01-02/149 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ორი ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 2019 წლის 26 სექტემბრის №01-02/149 ბრძანებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№5, 30.10.2019) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №01-02/149 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგები და კონკურსის საფუძველზე სტომატოლოგიის დარგობრივ დეპარტამენტში, თერაპიული სტომატოლოგიის მიმართულებით ასისტენტის აკადემიურ თანამდებობებზე სამი წლის ვადით (**2022 წლის 05 ნოემბრამდე**) არჩეული იქნეს:

ა) **ფრიდონ ჯაფარიძე**;

ბ) **მარიამ გოგოტიშვილი**.

2. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს **2019 წლის 05 ნოემბრიდან**.

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და კონკურსში გამარჯვებულ პირებს.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**